ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. კომპანიას ფინანსური აქტივების აღიარება შეწყდება, როდესაც (ა) აქტივის გამოსყიდვა მოხდა ან მისგან ფულადი სახსრების მიღების უფლების ვადა ამოიწურა, ან (ბ) თუ კომპანიამ სხვა საწარმოს გადასცა ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის გარიგება, იმავდროულად (1) აქტივის ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემით ან (2) ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის არც გადაცემით და არც შენარჩუნებით, მაგრამ კონტროლის შენარჩუნებით. კონტროლი ნარჩუნდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ გააჩნია პრაქტიკული შესაძლებლობა, გაყიდოს აღნიშნული აქტივი დაუკავშირებელ მესამე მხარეზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. ყველა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯის დამატებით. თავდაპირველი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება ტრანზაქციის ფასია. თავდაპირველი აღიარებისას მოგება ან ზარალი მხოლოდ მაშინ აღირიცხება, თუ არსებობს სხვაობა რეალურ ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის და შეიძლება მისი დამტკიცება სხვა დაკვირვებადი საბაზრო ტრანზაქციების მეშვეობით, რომლებიც მსგავს ინსტრუმენტს ეხებოდა ან შეფასების ისეთი ტექნიკით, რომელიც მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს ეყრდნობა.

ფინანსური აქტივების ყველა ყიდვა-გაყიდვა, რომელიც მოითხოვს რეგულირებით ან საბაზრო შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში აქტივის მიწოდებას (ანუ „ჩვეულებრივი“ ყიდვა-გაყიდვა) აღირიცხება ვაჭრობის დღეს, ანუ იმ დღეს, როდესაც კომპანია მხარეს მიაწვდის ფინანსურ აქტივს. ყველა სხვა შესყიდვა აღიარდება, როდესაც კომპანია ინსტრუმენტის საკონტრაქტო პირობების მხარე ხდება.

საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალის ოდენობას კომპანიას წესდება განსაზღვრავს. მისი ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილებით. სააქციო კაპიტალი აღიარდება კომპანიის საკუთრებაში არსებულ საწესდებო კაპიტალად, თუ იგი კომპანიის მფლობელის შენატანის შედეგია.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება ვალდებულებად და იქითება საკუთარი კაპიტალიდან მათი გამოცხადებისა და დამტკიცების პერიოდში. საანგარიშო პერიოდის შემდგომ და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების თარიღამდე გამოცხადებული დივიდენდები ახსნილია „შემდგომი მოვლენების“ ქვეთავში.

ვალდებულებებისა და ხარჯების რეზერვი. ვალდებულებებისა და ხარჯების რეზერვი არის გაურკვეველი დროისა თუ ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. ეს რეზერვი ირიცხება, როდესაც წარსული მოვლენების შედეგად, კომპანიას ეკისრება სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, სავარაუდოა, რომ მის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გაღიწება და შესაძლებელია ამ ვალდებულების სანდოდ შეფასება. თუ ეფექტი დიდია, რეზერვი განისაზღვრება სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებით გადასახადამდე არსებული განაკვეთით, რომელიც ასახავს დროში ფულის ღირებულების მიმდინარე ბაზრისეულ შეფასებებს და საჭიროების შემთხვევაში, ვალდებულებისთვის სპეციფიურ რისკებს.

შემოსავლის აღიარება. კომპანია შემოსავალს იღებს საქონლის რეალიზაციიდან.

საქონლის რეალიზაცია. საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება საქონლის მიწოდებისა და უფლების გადაცემის მომენტში, თუ კმაყოფილება ყველა შემდეგი პირობა:

- კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანიას აღარ აქვს არც ეფექტური კონტროლი რეალიზებულ საქონელზე და აღარც ის მართვითი მონაწილეობის უფლება, რომელიც ჩვეულებრივ დამახასიათებელია ნივთის ფლობასთან;
- შემოსავლის ოდენობის გაზომვა სარწმუნოდაა შესაძლებელი;
- სავარაუდოა, რომ ტრანზაქციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს კომპანია; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი ხარჯების გაზომვა სარწმუნოდაა შესაძლებელი.

ფინანსური შემოსავალი და ხარჯები. ფინანსური შემოსავალი და ხარჯები მოიცავს ნასესხებ სახსრებზე დარიცხულ პროცენტს, გაცემულ სესხებზე დარიცხულ პროცენტს და საკურსო მოგებასა და ზარალს, რომლებიც ნასესხები სახსრებიდან და ფულიდან და ფულის ექვივალენტებიდან გამომდინარეობს.

თანამშრომელთა ანაზღაურება. ხელფასები, წლიური ანაზღაურებადი შვებულებები, შვებულება ავადმყოფობის გამო, პრემიები და არამონეტარული ბენეფიტები ირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც თანამშრომლები კომპანიას მომსახურებას უწევენ. კომპანიას არ გააჩნია რაიმე სამართლებრივი თუ კონსტრუქციული მოვალეობა, გასცეს პენსიები თუ მსგავსი ბენეფიტები.

ურთიერთითა თვლა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთითა თვლება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთითა თვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

3. ახალი და განახლებული საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების გამოყენება.

მიმდინარე წელს კომპანიამ მიიღო და გამოიყენა შემდეგი ახალი და შესწორებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები:

- **ამოსავალი საპროცენტო განაკვეთის რეფორმა** - მე-2 ფაზა (შესწორება სტანდარტებში ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16)

ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭომ (ბასსს) გამოსცა „ამოსავალი საპროცენტო განაკვეთის რეფორმა - მე-2 ფაზა (შესწორებები სტანდარტებში ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16)“ ისეთ პრობლემებზე მიმართული შესწორებებით, რომლებმაც შეიძლება ზეგავლენა იქონიონ ფინანსურ ანგარიშგებაზე ამოსავალი საპროცენტო განაკვეთის რეფორმის შემდეგ, ალტერნატიული ამოსავალი განაკვეთებით ჩანაცვლების ჩათვლით. შესწორებები ძალაშია 2021 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ვადამდელი გამოყენება ნებადართულია.

მე-2 ფაზის შესწორებების მიხედვით:

როდესაც კომპანიის საბანკო სესხების საკონტრაქტო პირობები იცვლება და ახალ ვარიანტში გათვალისწინებულია ამოსავალი საპროცენტო განაკვეთის რეფორმა, ხოლო სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დასადგენი ახალი საფუძველი ეკონომიკურად შეესაბამება იმ საფუძველს, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებდა ცვლილებამდე არსებულს, კომპანია პროსპექტიულად ცვლის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დადგენის საფუძველს და ამისათვის აკორექტირებს მოქმედ საპროცენტო განაკვეთს.

თუ ამოსავალი საპროცენტო განაკვეთის რეფორმის შედეგად მოხდა იჯარის მოდიფიცირება და საიჯარო გადახდების დასადგენი ახალი საფუძველი ეკონომიკურად შეესაბამება იმ საფუძველს, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებდა ცვლილებამდე არსებულს, კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, რათა ასახოს კორექტირებული და ახალი დისკონტირების განაკვეთით დისკონტირებული საიჯარო გადახდები, რომლებშიც გათვალისწინებულია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დასადგენი საფუძველის ცვლილება.

აღნიშნული შესწორებების გამოყენება კომპანიას საშუალებას აძლევს, ბანკთაშორის განაკვეთებიდან ალტერნატიულ ამოსავალ საპროცენტო განაკვეთებზე (იგივე „ურისკო განაკვეთები“) გადასვლის ეფექტი ისე ასახოს აღრიცხვაში, რომ ამით არ გამოიწვიოს სააღრიცხვო ეფექტი, რაც არ მისცემდა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელს მისთვის სასარგებლო ინფორმაციას. კომპანიას წინა პერიოდის გადაფასება არ გაუკეთებია.

- **კოვიდ-19-ით გამოწვეული ქირის დათმობა** 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ (შესწორება სტანდარტში ფასს 16).

ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭომ (ბასსს) გამოსცა „კოვიდ-19-ით გამოწვეული ქირის დათმობა 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ (შესწორება სტანდარტში ფასს 16)“, რომელიც ერთი წლით ახანგრძლივებს 2020 წლის მაისის შესწორების მოქმედებას. ამ შესწორებით მოიჯარეს უფლება ჰქონდა, თავად გადაეწევიტა, იყო თუ არა კოვიდ-19-ით გამოწვეული ქირის დათმობა იჯარის მოდიფიკაცია.

კომპანიის მმართველობამ განიხილა აღნიშნული სტანდარტები და ინტერპრეტაციები. მათი მოქმედება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე უმნიშვნელოა.

ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის კომპანია არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს სტანდარტებს:

ახალი ან რედაქტირებული სტანდარტი ან ინტერპრეტაცია

ძალაშია შემდეგ თარიღში ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის

ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები
შესწორება სტანდარტში ფასს 4 - სადაზღვევო კონტრაქტები

1 იანვარი 2023
1 იანვარი 2023

შესწორება სტანდარტში ბასს 1 - ვალდებულებათა კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიან ვალდებულებებზე (ფასს სტანდარტების გაუმჯობესების 2010-2012 წლების ციკლის ფორმულირების პროექტის ფარგლებში)	1 იანვარი 2023
საღირებულო შეფასებების განსაზღვრება (შესწორება სტანდარტში ბასს 8)	1 იანვარი 2023
საღირებულო პოლიტიკების განმარტება - (შესწორება სტანდარტში ბასს 1 და განცხადება 2 ფასს პრაქტიკის შესახებ)	1 იანვარი 2023
მითითება კონცეპტუალურ ჩარჩოზე (შესწორება სტანდარტში ფასს 3)	1 იანვარი 2022
შესწორება სტანდარტში ბასს 16 - ძირითადი საშუალებები - დაგეგმილ გამოყენებამდე მიღებული შემოსავალი	1 იანვარი 2022
შესწორება სტანდარტში ბასს 37 „რეზერვები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ – „მიმე კონტრაქტები - კონტრაქტის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯი“	1 იანვარი 2022
შესწორებები სტანდარტში ფასს 1 - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება, ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები, ბასს 41 - სოფლის მეურნეობა და ბასს 16 - იჯარა სტანდარტზე დართული საილუსტრაციო მაგალითები	1 იანვარი 2022
შესწორება სტანდარტში ბასს 12 - ერთჯერადი ტრანზაქციიდან მიღებულ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი	1 იანვარი 2023
შესწორება სტანდარტებში ფასს 10 და ბასს 28 - აქტივების გაყიდვა ან შეწირვა ინვესტორსა და მის პარტნიორს ან ერთობლივ საწარმოს შორის.	თარიღს დაადგენს ბასსს

კომპანია არ ელის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სტანდარტების ამოქმედება მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებაზე მომავალ პერიოდებში.

4. კრიტიკული საბუღალტრო გადაწყვეტილებები და შეფასების ძირითადი წყაროები

კომპანია ვარაუდობს და აკეთებს დაშვებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და შესაბამისი დაშვებები გადაიხედება რეგულარულად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, სამომავლო მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც მოცემულ ვითარებაში სავარაუდოდ გამოიყურება.

ბუღალტრული პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ხელმძღვანელობა აგრეთვე იღებს კონკრეტულ გადაწყვეტილებებს. ქვემოთ მოცემულია ის გადაწყვეტილებები, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. კომპანია ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების პერიოდს განიხილავს მსგავს აქტივებზე არსებული გამოცდილების მიხედვით. აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებით მოიხმარება. თუმცა, ასევე ითვალისწინებენ სხვა ფაქტორებსაც, მაგალითად, ტექნიკურ და კომერციულ დაძველებას, ფიზიკურ ცვეთას, ნებისმიერი ამ პირობის ან შეფასების ცვლილებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს კორექტირებები გაუფასურების სამომავლო მაჩვენებლებში. ხელმძღვანელობა დარჩენილ სასარგებლო მოხმარების ვადას აფასებს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობით და იმ სავარაუდო პერიოდით, რომლის განმავლობაშიც აქტივები კომპანიასთვის სარგებლის მომტანი იქნება. ძირითადი ფაქტორებია: (ა) აქტივის გამოყენების ფორმა; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც საოპერაციო ფაქტორებსა და რემონტის პროგრამაზეა დამოკიდებული; და (გ) ტექნიკური და კომერციული დაძველება, რომელიც ბაზრის პირობებიდან გამომდინარეობს.

საგადასახადო კანონმდებლობა და რეზერვების აღრიცხვა. კომპანიას გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები თითოეულ საანგარიშო დღეს გადაიხედება. ვალდებულებები აღირიცხება იმ მოგების გადასახადის პოზიციებისათვის, რომლებიც, ხელმძღვანელობის აზრით, ნაკლებად შენარჩუნებადი იქნება საგადასახადო ორგანოების მიერ პრეტენზიის წაყენების შემთხვევაში იმ ინტერპრეტაციების საფუძველზე, რომლებიც არსებითად თუ სრულად ძალაში იქნება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დღეს. ჯარიმების, პროცენტისა და სხვა გადასახადების ვალდებულება აღიარდება ხელმძღვანელობისეული სავარაუდო ხარჯის მიხედვით, რომელიც საჭირო იქნება საანგარიშო დღეს ამ ვალდებულების დასაფარად. რეალური ხარჯები სავარაუდოსგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (მსზ) რეზერვს აღიარებს ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ყველა სავალ ინსტრუმენტზე. მსზ ეფუძნება სხვაობას კონტრაქტის თანახმად მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ ფულად ნაკადებს შორის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები მოიცავს ფლობილი უზრუნველყოფის თუ კონტრაქტის პირობებით გათვალისწინებული სხვა კრედიტის გამაძლიერებლების გაყიდვით მიღებულ ფულად ნაკადებს.

მსზ-ის აღიარება ხდება ორ ეტაპად. ისეთი რისკის პოზიციების შემთხვევაში, რომელთათვისაც საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის საგრძნობ ზრდას ადგილი არ ჰქონია, მსზ აღიარდება ისეთი საკრედიტო ზარალისათვის, რომლებიც მომდევნო 12-თვიან პერიოდში შესაძლო დეფოლტის მოვლენებით არის გამოწვეული (12-თვიანი მსზ). ისეთი რისკის პოზიციების შემთხვევაში, რომელთათვისაც საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის საგრძნობ ზრდას ადგილი ჰქონდა, მსზ აღიარდება ისეთი საკრედიტო ზარალისათვის, რომლებიც რისკის პოზიციის მთლიანი არსებობის მანძილზე შესაძლო დეფოლტის მოვლენებით არის გამოწვეული (მსზ არსებობის მანძილზე). კომპანია 12-თვიან მსზ-ს აღიარებს ნაღდი ფულისა და საბანკო ნაშთების შემთხვევაში.

სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში, კომპანია მსზ-ის გამოსათვლელად გამარტივებულ მიდგომას იყენებს. ამდენად, კომპანია არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას და ამის ნაცვლად ზარალის თითოეულ საანგარიშგებო თარიღში რეზერვს აღიარებს არსებობის მანძილზე მსზ-ის საფუძველზე. კომპანიას აქვს რეზერვირების მატრიცა, რომელიც ისტორიული საკრედიტო ზარალის გამოცდილებას ეფუძნება და კორექტირდება ფორვარდული, მსესხებელთა და ეკონომიკური გარემოსათვის სპეციფიური ფაქტორებით.

მენეჯმენტმა დაასკვნა, რომ საწყისი აღიარების შესაბამის თარიღებში თითოეული სესხის საკრედიტო რისკის დადგენა ზედმეტ ხარჯსა და ძალისხმევას მოითხოვს. კომპანიამ განსაზღვრა სრული მსზ არსებობის მანძილზე, ანუ ის მსზ, რომელიც მიიღებოდა ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენის შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის მთელი ციკლის განმავლობაში (მე-2 და მე-3 ეტაპები). დეფოლტის ალბათობის დასადგენად კომპანია იყენებს სარეიტინგო სააგენტოების მიერ მიღებულ ისტორიულ დეფოლტის ალბათობებს. მსზ-ის ოდენობა სხვა მოთხოვნებზე გამოითვლება ექსპერტის შეფასებით დადგენილი ზარალის განაკვეთების გამოყენებით. საექსპერტო შეფასების აუცილებლობა მართებულად ჩაითვა ისეთი ისტორიული ინფორმაციის არარსებობის გამო, რაც საშუალებას მისცემდა კომპანიას, შეექმნა რეზერვირების მატრიცა. გაუფასურების განაკვეთები პერიოდის მოთხოვნის ნაშთზე მრავლდება და მიიღება ის თანხა, რომლის ამოღება, კომპანიის აზრით, შეუძლებელია - ანუ ამოუღებელია.

ყველა შემთხვევაში, კომპანია თვლის, რომ საკრედიტო რისკის საგრძნობ ზრდას ადგილი ჰქონდა სახელშეკრულებო გადახდების 30 დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.

ფინანსური აქტივი დეფოლტად ითვლება სახელშეკრულებო გადახდების 90 დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, დეფოლტად შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს ისეთი ფინანსური აქტივი, რომელზეც, შიდა თუ გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ ნაკლებ მოსალოდნელი იქნება დარჩენილი სახელშეკრულებო თანხის სრულად მიღება კომპანიის მიერ ფლობილი კრედიტის გამაძლიერებელი მექანიზმების გაუთვალისწინებლად.

ამოუღებელი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამისი გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი და შემდგომში ამოღებული თანხები მიეკუთვნება გაუფასურების ზარალის ანგარიშს, მოცემული წლის მოგების ან ზარალის მიხედვით.

მოძველებული მარაგების რეზერვი - ტექნოლოგიისა და მარეგულირებელი მოთხოვნების ცვლილების შედეგად მოძველებული, აგრეთვე გამოყენების ვადის ამოწურვას მიახლოებული მარაგების რეზერვი იქმნება ხელმძღვანელობის შეფასებით.

5. შემოსავალი

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის კომპანიის შემოსავალი შედგებოდა შემდეგისგან:

	2023	2022
შემოსავალი ბეტონის გაყიდვიდან	11,927,734	7,272,369
სულ	11,927,734	7,272,369

შპს ლუგო

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებასთან
2023 წლის ბოლო, 31 დეკემბრის მდგომარეობით
ცხრილში მონაცემები ასახულია ქართულ ლარში

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრით დასრულებული კომპანიის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება შედგებოდა შემდეგისგან:

	2023	2022
ინვენტარის ღირებულება	8,437,955	5,555,149
სატრანსპორტო ღირებულება	1,087,722	773,449
ცვეთა და ამორტიზაცია	221,268	338,201
სახელფასო ხარჯები	709,610	329,955
მომსახურების ღირებულება	62,284	2,581
სხვა	107,875	85,434
სულ	10,626,713	7,084,768

7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრით დასრულებული კომპანიის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები შედგებოდა შემდეგისგან:

	2023	2022
სახელფასო ხარჯები	186,049	254,085
სატრანსპორტო ღირებულება	368,593	210,043
ცვეთა და ამორტიზაცია	96,044	18,462
კომუნალური ღირებულება	80,630	50,435
ქონების გადასახადი	-	33,053
მომსახურების ღირებულება	17,061	1,724
სადაზღვევო ხარჯები	5,107	22,839
იჯარის ხარჯები	132,781	33,924
საბანკო ხარჯები	7,529	553
საკომუნიკაციო ხარჯები	1,934	2,347
სხვა	46,817	21,571
სულ	942,546	649,037

8. სხვა შემოსავალი / (ხარჯი), წმინდა

	2023	2022
დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების აღდგენა / (მიწოდება)	(238'592)	(185'997)
სხვა შემოსავალი / (ხარჯი)	(33'637)	71'701
სულ	(204'956)	(114'296)

შპს ლუგო

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებასთან
2023 წლის ბოლო, 31 დეკემბრის მდგომარეობით
ცხრილში მონაცემები ასახულია ქართულ ლარში

9. ძირითადი საშუალებები	ქონების, ქარხანის და აღჭურვილობის მოძრაობა 2023 და 2022 წლის 31 დეკემბერით დასრულებული წლისთვის:						
	მანქანები	ტრანსპორტი	შენობა- ნაგებობები	მიწის ნაკვეთი	მიმდინარე მშენებლობა	საოფისე ტექნიკა	სულ
ღირებულება 2022 წლის 1 იანვარს	2 471 580	1 043 541	1 504 178	600 567	15 232	83 662	5 718 760
ძირითადი კაპიტალის დანამატი	142 229	20 892	1 214	-	1 699	6 220	172 254
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	(280 877)	1 761	(70 480)	-	-	-	(349 596)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-
ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს	2 332 932	1 066 194	1 434 912	600 567	16 931	89 882	5 541 418
ძირითადი კაპიტალის დანამატი	531 098	604 426	-	-	12 577	10 627	1 158 728
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	-	-	-	-	-	-	-
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-
ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	2 864 030	1 670 620	1 434 912	600 567	29 508	100 509	6 700 146
დაგროვილი ცვეთა 2022 წლის 1 იანვარს	1 385 393	517 808	437 980	-	-	73 042	2 414 224
წლის დარიცხვა	179 960	86 238	32 287	-	-	7 425	305 910
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	(131 618)	(1 761)	-	-	-	-	(133 379)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 2022 წლის 31 დეკემბერს	1 433 735	602 285	470 268	-	-	80 467	2 586 755
წლის დარიცხვა	210 315	106 734	87 905	-	-	6 144	411 097
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	-	-	-	-	-	-	-
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 2023 წლის 31 დეკემბერს	1 644 050	709 019	558 173	-	-	86 611	2 997 853
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	899 197	463 909	964 644	600 567	16 931	-	2 954 663
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 219 979	961 602	876 739	600 567	29 508	13 898	3 702 294

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრულად გაუფასურებული აქტივების ღირებულება შეადგენს 354,453 და 123,111 ლარს შესაბამისად.

შპს ლუგო

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებასთან
2023 წლის ბოლო, 31 დეკემბრის მდგომარეობით
ცხრილში მონაცემები ასახულია ქართულ ლარში

10. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონებამ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცვა შენობა, რომელიც მდებარეობს ბათუმში. საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა აშშ დოლარში ბაზარზე შესაძარებელ საბაზრო მიდგომაზე დაყრდნობით რომელიც ასახავს ბოლო ტრანზაქციის ფასებს მსგავს თვისებებთან მიმართებაში. საინვესტიციო ქონების სამართლიანმა ღირებულებამ 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 402,000 ლარი.

11. მარაგები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ნედლეული მასალები	304,705	424,349
სულ	304,705	424,349

12. სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო დებიტორული მოთხოვნები	4,352,914	4,286,667
თანამშრომლების გადასახადები	40	528
გამოკლებული: სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი	(1,599,030)	(1,360,437)
სულ	2,753,924	2,926,757

საშუალო საკრედიტო პერიოდი კომპანიის მომხმარებლებისთვის და 2023 და 2022 წლებში შესაბამისად იყო 134 და 118 დღე.

სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების განსაზღვრისას, კომპანია განიხილავს ნებისმიერ ცვლილებას სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების საკრედიტო ხარისხში კრედიტის თავდაპირველი გაცემის დღიდან საანგარიშო თარიღამდე.

საექვო გამოუხმობი თანხების დასაფარი რეზერვის მოძრაობა:

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ბალანსი წლის დასაწყისში	(1,360,437)	(1,174,441)
გაუფასურების ზარალი აღიარებული დებიტორული მოთხოვნები	(238,592)	(185,996)
აღდგენილი დებიტორული მოთხოვნები		
ბალანსი წლის ბოლოს	(1,599,030)	(1,360,437)

13. წინასწარი გადახდები (ავანსები)

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
წინასწარი გადახდები (ავანსები) მომწოდებლებზე	25,064	25,064
წინასწარ გადახდილი გადასახადები	15,969	20,328

შპს ლუგო

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებასთან
2023 წლის ბოლო, 31 დეკემბრის მდგომარეობით
ცხრილში მონაცემები ასახულია ქართულ ლარში

ბალანსი წლის ბოლოს	41,033	45'392
--------------------	--------	--------

14. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	2022 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სალაროში არსებული ნაღდი ფული	-	-
ნაღდი	61,971	185,764
სულ	61,971	185'764

15. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო საკრედიტო დავალიანებები მომსახურებაზე	1,072,752	927,067
გადასახდელი დივიდენდები	2,549,523	2,549,523
სულ	3,622,275	3,476,589

16. ფინანსური ინსტრუმენტები

სამართლიანი ღირებულების შეფასებები. -სამართლიანი ღირებულება არის ღირებულება, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გასაყიდან ან გადასახდელად რაღაც გადაცემულ იქნას ვალდებულება მოწესრიგებული ტრანზაქციით ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღის მდგომარეობით.

ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულებები განისაზღვრება კომპანიის მიერ არსებული საბაზრო ინფორმაციის გამოყენებით, სადაც ასეთი არსებობს და შესაბამისი შეფასების მეთოდოლოგიებით. თუმცა, გადაწყვეტილება/დასკვა აუცილებლად უნდა იქნას მიღებული რაღაც მოხდეს საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაცია სავარაუდო სამართლიანი ღირებულების დასადგენად.

საქართველო განაგრძობს განვითარებადი ბაზრის ზოგიერთი მახასიათებლის გამოვლენას და ეკონომიკურ პირობებს კვლავაც ზღუდავს საქმიანობის მოცულობას ფინანსურ ბაზრებზე. საბაზრო ქვოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს ან ასახავდეს გაყიდვების ტრანზაქციების კატასტროფას და შესაბამისად, არ წარმოადგენს სამართლიანი ღირებულებების ფინანსური ინსტრუმენტებს. მენეჯმენტმა გამოიყენა ყველა არსებული საბაზრო ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას.

ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულებები და ვალდებულებები შედის 3დონის კატეგორიაში და განისაზღვრა ქვემოთ აღწერილი მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ფინანსური აქტივები ასახული ამორტიზებული ღირებულებად - ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასება ეფუძნება სავარაუდო მომავალ ფულადი ნაკადებს რომლებიც სავარაუდოდ მიღებული იქნება მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებზე ფასდაკლებით ახალ ინსტრუმენტებთან მიმართებაში, რომელთაც აქვთ მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა. ფასდაკლების/დისკაუნტის განაკვეთები გამოიყენება საკრედიტო რისკის კონტრაგენტიდან გამომდინარე. სამშენებლო მოთხოვნებზე არსებული მიმდინარე საბალანსო ღირებულებები, სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნები, გაცემული სესხები და სხვა ფინანსური აქტივების მიახლოებითი სამართლიანი ღირებულებები მათი მოკლევადიანი დაფარვის ვადის გამო.

შპს ლუგო

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებასთან
2023 წლის ბოლო, 31 დეკემბრის მდგომარეობით
ცხრილში მონაცემები ასახულია ქართულ ლარში

ამორტიზირებულ ხარჯად ასახული ვალდებულებები - ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასება მინიმალური დაფარვის თარიღით შეფასებულ იქნა მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე დისკონტირებული მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალ ინსტრუმენტებთან მიმართებაში, რომელთაც აქვთ მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა.

კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს რომ ფინანსური ანგარიშგებებში ასახულია და ჩაწერილია ფინანსური ვალდებულებების მიმდინარე საბალანსო ღირებულებები მათი სავარაუდოდ სამართლიანი ღირებულებებით.

კაპიტალის რისკების მართვა – კომპანია მართავს თავის კაპიტალს, რათა უზრუნველყოს სუბიექტის მიერ თავის მიმდინარე საქმიანობის გაგრძელება და ერთდროულად კაპიტალის აქტიონერების შემოსავლის მაქსიმალურიზაცია ვალის და კაპიტალური ბალანსის ოპტიმიზაციის გზით. კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად ახდენს კაპიტალის სტრუქტურის განხილვას. ამ განხილვისშედეგების საფუძველზე, კომპანია დგამს ნაბიჯებს მისი საერთო კაპიტალის სტრუქტურის დაბალანსებისთვის დივიდენდების გადახდის გზით, ისევე როგორც ახალი სესხების აღების და არსებულის განულების/ჩაქრობის გზით.

საკუთარი და ნასესხები კაპიტალის თანაფარდობა საანგარიშო პერიოდის ბოლოს იყო შემდეგი:

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სესხები	-	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	(61,972)	(185,764)
კაპიტალი	4,910,341	4,765,110
წმინდა ვალი კაპიტალის კოეფიციენტში	-1%	-4%

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები – კომპანიის მთავარი/ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, და სავაჭრო და სხვა ანგარიშების კრედიტორულ დავალიანებებს. მთავარი მიზანი ამ ფინანსური ინსტრუმენტებისა არის კომპანიის ოპერაციებისთვის ფინანსების მოზიდვა. კომპანიას აქვს შემდეგი ფინანსური აქტივები: ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები, სამშენებლო დებიტორული მოთხოვნები, გაცემული სესხები, სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნები და ფულადი თანხები რომლებიც მართებთ მომხმარებლებს სამშენებლო კონტრაქტების საფუძველზე.

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	61,972	185,764
სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნები	2,753,924	2,926,757
გაცემული სესხები	164,706	164,706
სულ ფინანსური აქტივები	2,980,602	3,277,227

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	1,072,752	927,067
გადასახდელი დივიდენდები	2,549,523	2,549,523
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,622,275	3,263,423

შპს ლუგო

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებასთან
2023 წლის ბოლო, 31 დეკემბრის მდგომარეობით
ცხრილში მონაცემები ასახულია ქართულ ლარში

კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი მთავარი რისკები გახლავთ უცხოური სავალუტო კურსის, საპროცენტო განაკვეთის, საკრედიტოს და ლიკვიდურობის რისკები.

სავალუტო კურსის რისკი- სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიის ფინანსური შედეგებზე უარყოფითად აისახება გაცვლითი კურსის ცვლილებები, რომელსაც კომპანია ექვემდებარება. კომპანია იღებს ვალდებულებას გარკვეულ ოპერაციებზე/ტრანზაქციებზე, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს რაიმე დერივატივებს უცხოური ვალუტის რისკის მართვაში.

2023 და 2022 წლებით დასრულებული პერიოდებისთვის კომპანიას არ აქვს უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული ვალდებულებები ან/და აქტივები.

სენსიტიურობის ანალიზის შეზღუდვები

აღნიშნული ცხრილებით ხდება მთავარი დაშვებების ცვლილების ეფექტის დემონსტრირება, ხოლო სხვა დაშვებები უცვლელი რჩება. სინამდვილეში, არსებობს კორელაცია დაშვებებსა და სხვა ფაქტორებს შორის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს სენსიტიურობები არაწრფივია და უფრო დიდი ან პატარა შემოქმედება/ეფექტი არ უნდა იყოს ინტერპოლირებული ან ექსტრაპოლირებული ამ შედეგებიდან.

სენსიტიურობის ანალიზი არ ითვალისწინებს კომპანიების აქტივებისა და ვალდებულებების აქტიურად მართვას. დამატებით, კომპანიის ფინანსური მდგომარეობა შესაძლოა განსხვავდებოდეს იმ დროს, რომ ნებისმიერი ფაქტობრივი ბაზრის მოძრაობა მოხდება.

მაგალითად, კომპანიის ფინანსური რისკების მართვის სტრატეგია მიზნად ისახავს ბაზრის რყევების შემოქმედების მართვას. ვინაიდან საინვესტიციო ბაზრებმა უკან მოიტოვა წარსულში სხვადასხვა ტრიგერული დონეები, მენეჯმენტის ქმედებები შეიძლება შეიცავდეს ინვესტიციების გაყიდვას, საინვესტიციო პორტფელის გამოყოფის შეცვლას და სხვა დამცავი მოქმედების განხორციელებას. შესაბამისად, ფაქტობრივი გავლენა დაშვებების ცვლილების ფაქტობრივი გავლენას შეიძლება არ ჰქონდეს რაიმე ზეგავლენა ვალდებულებებზე, ვინაიდან აქტივები აღირიცხება საბაზრო ღირებულებად ბალანსზე. ამ გარემოებებში, სხვადასხვა შებასების საფუძველზე ვალდებულებებთან და აქტივებთან მიმართებაში შეიძლება გამოიწვიოს არასტაბილურობა სააქციო კაპიტალში.

შემოთ მოყვანილი მგრძნობელობის ანალიზის სხვა შეზღუდვები მოიცავს ჰიპოთეტური ბაზრის მოძრაობის გამოყენებას პოტენციური რისკის დემონსტრირებისთვის რომელიც მხოლოდ წარმოადგენს კომპანიის უახლოეს ბაზარზე შესაძლო ცვლილებების ხედვას, რომელიც არ შეიძლება პროგნოზირებადი იქნას უდალო; და ვარაუდს, რომ ყველა საპროცენტო განაკვეთები გადაადგილება იდენტურად.

საკრედიტო რისკი- საკრედიტო რისკი არის რისკი, რომელზეც მომხმარებელს შეუძლია უარის თქმა ან კომპანიისთვის თავისი ვალდებულებების არ შესრულება დროულად, რაც კომპანიას ფინანსურ დანაკარგებს უქმნის

ფინანსური ანგარიშგებებში ჩაწერილი ფინანსური აქტივების მიმდინარე საბალანსო ღირებულება, რომელიც გაუფასურების დანაკარგების წმინდა/ნეტო ნაწილია, წარმოადგენს კომპანიის მაქსიმალური შემოქმედების საკრედიტო რისკს. ყველა კლიენტი გადის კლიენტის მიღების პროცედურებს კომპანიასთან შეთანხმების ჩამოყალიბებამდე და, შესაბამისად, მხოლოდ კრედიტუნარიანი კლიენტების შერჩევა ხდება. კომპანია ასევე ადგენს საკრედიტო ლიმიტებს თავის მომხმარებელზე.

ლიკვიდურობის რისკი- ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, როცა კომპანია ვერ შეძლებს რომ დაფაროს ყველა ვალდებულება, რადგან ისინი გადასახდელი. შემდეგ დეტალური ცხრილები კომპანიის დარჩენილი სახელმეკრულებო დაფარვის ვადებია მის მიუღებელ ფინანსური ვალდებულებებთან მიმართებაში 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეთანხმებული დაფარვის პერიოდებზე. ცხრილები შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე იმ ადრეული თარიღის მიხედვით, როცა კომპანიას მოეთხოვებოდა

შპს ლუგო

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებასთან
2023 წლის ბოლო, 31 დეკემბრის მდგომარეობით
ცხრილში მონაცემები ასახულია ქართულ ლარში

გადახდა. ასეთი არადისკონტირებული ფულადი ნაკადების განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შესული თანხისგან, რადგან ეს თანხა ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ცხრილები მოიცავს როგორც საპროცენტო და ისე ძირითადი თანხის ფულად ნაკადებს.

	1 თვეზე ნაკლები	1-3 თვე	3 თვიდან 1 წლამდე	1-5 წელი	5+ წელი	სულ
2023 წლის 31 დეკემბერი						
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	1,072,752					1,072,752
გადასახდელი დივიდენდები			2,549,523			2,549,523
	1,072,752		2,549,523			3,622,275
2022 წლის 31 დეკემბერი						
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	927,067					927,067
გადასახდელი დივიდენდები			2,549,523			2,549,523
	927,067		2,549,523			3,476,589

შპს ლუგო

შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებასთან
2023 წლის ბოლო, 31 დეკემბრის მდგომარეობით
ცხრილში მონაცემები ასახულია ქართულ ლარში

17. დაკავშირებული მხარეების ოპერაციები (ტრანზაქციები) და საბალანსო ნაშთი

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, ზოგადი საკუთრების საფუძველზე მოქმედ სუბიექტებს და კომპანიის კონტროლს და და ძირითადი მენეჯმენტის პერსონალის წევრებს. დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ ჩაერთონ ტრანზაქციებში, რომლებშიც არ შეიძლება ჩაეთთონ დაკავშირებული მხარეები, და დაკავშირებულ მხარეებს შორის ტრანზაქციები არ შეიძლება განხორციელდეს იმავე ვადებსა და პირობებზე, როგორც ურთიერთდაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ტრანზაქციები.

გათვალისწინებით თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის გათვალისწინებით, ყურადღება უნდა იქნას მიმართული ურთიერთობის არსებით მხარეზე, და არა მხოლოდ სამართლებრივი ფორმაზე. კომპანიას ჰქონდა შემდეგი ნაშთები და ოპერაციები/ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:

2023 წლის 31 დეკემბერი

	მფლობელები	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი სუბიექტები	სხვა	სხვა
სავაჭროდასხვადებიტორეული მოთხოვნები	2,753,924			2,753,924
შესყიდვები		-		-
შემოსავალი	-			-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,072,752	-		1,072,752

2022 წლის 31 დეკემბერი

	მფლობელები	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი სუბიექტები	სხვა	სულ
სავაჭროდასხვადებიტორეული მოთხოვნები	2,926,757	-		2,926,757
შესყიდვები		-		-
შემოსავალი	-	-		-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	927,067	-		927,067

18. ღონისძიებები საანგარიშო პერიოდის შემდეგ

საანგარიშო პერიოდის შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენებს არ ჰქონია ადგილი.